1. ნაშრომში სათანადოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყაროები.
2. წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკეტი სასვენი ნიშანი (წერილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის განმარტების მიზნით;
3. ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნაშრომების რეკომენდებული წყაროს მითითების წესებია:
4. წიგნის პირველად მითითება:

ა) ერთი ან ორი ავტორის შემთხვევაში - ავტორ(ებ)ის გვარი, სახელის ინიციალი., წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი;

მაგალითად: ჰობსი, თ., „ლევიათანი“, პინგვინის გამომცემლობა, 1985. გვ. 268.

ბ) რამდენიმე ავტორის შემთხვევაში - პირველი ავტორი (გვარი, სახელის ინიციალი.) „და სხვა“ მითითებით (ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი), წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი, ან პარაგრაფი.

მაგალითად: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი დემეტრაშვილი, ა., „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „ჰოლივუდი“, 2005. გვ. 305.

5. წიგნის ყოველი შემდგომი მითითება - ავტორის გვარი, *იხ.* შესაბამისი პირველადი მითითების სქოლიოს ნომერი, გვერდი, ან პარაგრაფი.

მაგალითად: ჰობსი, იხ. სქოლიო 15, გვერდი 88.

6. სტატია წიგნში: სტატიის ავტორი (გვარი. სახელის ინიციალი.), სტატიის სახელწოდება, წიგნში - წიგნის მითითების წესით.

მაგალითად: როუზი, ფ., „სახეობათა ევოლუცია“ წიგნში ბუროუზი, ე., და როჯერი, ა., (რედაქტორები), „სამართლის განსაზღვრა: ესეები პიტერ ბირკსის ხსოვნის საპატივცემულოდ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006.

7. პერიოდული გამოცემის სტატიის მითითება - სტატიის ავტორი (გვარი. სახელის ინიციალი.), სტატიის სათაური ბრჭყალებში, გამოცემის ნომერი და გამოცემის სახელწოდება ბრჭყალებში, წელი, გვერდი ან/და პარაგრაფი. შემდგომი მითითების წესი წიგნის შემდგომი მითითების წესის ანალოგიურად.

მაგალითად: კვარაცხელია, გ., „გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, 10 „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016. გვ-გვ. 45-47.

8. საგაზეთო სტატიის მითითება - ავტორი (გვარი. სახელის ინიციალი.), სტატიის სათაური ბრჭყალებში, გაზეთის სათაური თარიღი, გვერდები.

მაგალითად: პარდოა-შიოპა, თ., “Il carattere dell’ Europa”, Carriere della Serra, 2004 წლის 22 ივნისი, გვ. 1.

9. ინტერნეტ წყაროების (ბლოგები, ვებ-გვერდები) მითითება - საგაზეთო სტატიის წესის ანალოგიურად, ვებ-გვერდისა და უკანასკნელი გადამოწმების თარიღის კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით.

მაგალითად: კლაასენი, მ., “The best interests of the child in deportation cases: An analysis of Ejimson v. Germany” Strasbourg Observers Blog, www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-an-analysis-of-ejimson-v-germany/ [უ. გ. 17.04.2018].

10. კანონმდებლობის მითითება - მუხლის ნომერი, აქტის დასახელება, მიღების თარიღი.

მაგალითად: მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996;

მუხლი 19, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950.

11. სასამართლო პრაქტიკის მითითება - სასამართლოს დასახელება, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს აქტის ტიპი, საქმის, ან განაცხადის ნომერი, მხარეების დასახელება ბრჭყალებში, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, შესაბამისი გვერდი, ან პარაგრაფი.

მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 22 დეკემბერი. პარაგრაფი 80.

მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N9815/82 „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივნისი. პარაგრაფები 41-42.

12. ციტატის მითითების წესები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ტექსტში ან სქოლიოში მოცემული ციტატა უნდა განთავსდეს ორმაგ ბრჭყალებში:

ბრჭყალი უნდა იყოს დაბალი („), ციტატის დასრულების შემდეგ - მაღალი (“).